საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 21 0000709345

14/07/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეტალურგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 29 დეკემბერს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1239640 (ცენტრში რეგისტრაციის №1243882) სააკრედიტაციო განაცხადი „მეტალურგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნულ განაცხადს ცენტრის 2021 წლის 18 იანვრის №10403 წერილით დაუდგინდა ხარვეზი, რომელიც საბოლოოდ აღმოფხვრილ იქნა დაწესებულების მიერ 2021 წლის 25 იანვარს №26577 კორესპონდენციით.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 01 თებერვლის №49528 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის №301604 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 22 და 23 აპრილს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 21 მაისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები,	√			

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 30 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 12 ხმით არცერთი ხმის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „მეტალურგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წლის თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მეტალურგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის14 ივლისის №708869 სხდომის ოქმის №-06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

4.1. რეკომენდირებულია, სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ცოდნა და უნარები, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანებზე/მოწყობილობებზე, შესაბამისად აისახოს კურიკულუმის რუკაში;
4.2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4.3. რეკომენდირებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიენიშნოს ის სფერო(ები) კვალიფიკაციათა ჩარჩოდან, რომელშიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მიღებული განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
4.4. რეკომენდირებულია, ინტერდისციპლინური კვლევებისათვის, მეტალურგიული პროცესების მოდელირების სრულფასოვნად შესწავლისათვის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნას სემინარები ან არჩევითი კურსები;
4.5. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსში მეცნიერული კვლევა მეტალურგიაში გაიზარდოს კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საკითხების მოცულობა, გასწორდეს გადაფარვები კურსთან "სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა" და შეფასების კრიტერიუმებში გათვალისწინებულ იქნას სტუდენტთა კვლევით უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმი;
4.6. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;

4.7. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus/ Web of Science) ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
4.8. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება;
4.9. რეკომენდირებულია შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დეტალური სამოქმედო გეგმა (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესერსებით;
4.10. რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
4.11. რეკომენდირებულია, მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასება პროგრამის მდგრადობის კუთხით;
4.12. რეკომენდირებულია, ბენჩმარკინგის შედეგები გათავლსიწინებული იქნას პროგრამის განვითარებისათვის.

რჩევები:
4.13. სასურველია, დაზუსტდეს ინტერდისციპლინარული კვლევების შედეგის მიღწევის გზები;~
4.14. სასურველია, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრებისას;

4.15. სასურველია, სასწავლო კურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს მეტალურგიული წარმოების მანქანა/მოწყობილობებს, მათი გაანგარიშების მეთოდებს, ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების საკითხებს და რიცხვითი გაანგარიშების მეთოდებს;
4.16. სასურველია, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში (პ.3.7), დაზუსტდეს დისერტაციის საჯარო დაცვა დოქტორანტურის დებულების მუხლი 14-ის შესაბამისად;
4.17. სასურველია, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამის „მეტალურგია“ განხორციელებაში უზრუნველყოს უფრო მეტი ახალგაზრდა კადრის მოზიდვა;
4.18. სასურველია, პერსონალის ინგლისური ენის შესწავლის კუთხით დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები;
4.19. სასურველია, პროგრამის გარეშეფასება განხორციელდეს პერიოდულად, როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩართულობით.

5.ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (2022 წლის 30 ივნისამდე).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 30 ივნისს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ